პროგრამა

ბათუმი საქართველოსთვის

ბათუმს თვითმმართველობის საუკუნოვანი ტრადიცია აქვს, 132 წლის წინ, 1888 წლის აგვისტოში ბათუმში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი არჩევნები, მოსახლეობამ აირჩია ქალაქის საბჭო და ქალაქის პირველი თავი ლუკა ასათიანი. ბათუმმა თანამედროვე სახის პირველი კონტურები სწორედ ამ პერიოდიდან შეიძინა. ქალაქის პირველი პირის მიზანი უნდა იყოს ლუკა ასათიანისა და ივანე ანდრონიკაშვილის გზის ღირსეულად გაგრძელება.

ჩვენი მიზანია ბათუმის, როგორც ეკონომიკური, ტურისტული და კულტურული ცენტრის პოტენციალის ამაღლება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და რეაბილიტაცია, საქალაქო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, მუნიციპალურ სერვისებზე მოქალაქეთათვის ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე შეუფერხებელი და შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფა. თვითმმართველობის საქმიანობაში მაქსიმალური ღიაობის მიღწევა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობა.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საქმიანობა უნდა იყოს განჭვრეტადი, ჩვენ შევიმუშავებთ მკაფიო და პროგნოზირებად წესებს, რომელიც გამორიცხავს დაინტერესებული სუბიექტებისადმი არათანაბარ მიდგომას. ეს მიდგომა აისახება მუნიციპალური ნებართვების გაცემის, საზედამხედველო საქმიანობის გახორციელებისა და მუნიციპალურ პროგრამებში ჩართვის პროცესებზე.

ჩვენს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მმართველობის არსებული ხარვეზების გამოსწორება, ნორმატიული ბაზის მოწესრიგება და მასშტაბური რეფორმის განხორციელება, რის შედეგადაც მინიმუმმდე იქნება დაყვანილი კორუფციის რისკები, გაუქმდება ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერები და მუნიციპალური სერვისების მიღება თითოეული დაინტერესებული პირისათვის იქნება კომფორტული.

ჩვენი მიზანია მუნიციპალიტეტის ბიუროკრატიული აპარატის შენახვის ხარჯების შემცირება, არსებული გამოცდილი მოხელეების შენარჩუნება და ახალი, პროფესიონალი კადრების მოზიდვა.

ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მყოფი ორგანო ვალდებულია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღოს მოქალაქეებთან კონსულტაციების შედეგად. ვინაიდან ბათუმის მოსახლეობა დღითიდღე იზრდება, შეუძლებელია მხოლოდ ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, როგორებიცაა შეხვედრები და შეკრებები, მოიცვა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, ამიტომ შევქმნით ელექტრონულ პლატფორმას, რომელზეც ყველა ბათუმელს შეეძლება დარეგისტრირება და შემდგომ ამა თუ იმ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება. გვსურს დავნერგოთ პირდაპირი დემოკრატიის ელემენტები, რაც მოგვცემს საშუალებას, გავზარდოთ მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმეებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გაიზდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების გზით, მოქალაქეების მიერ პირდაპირ განსაკარგი ბიუჯეტის მოცულობა.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით საუბნო კავშირებისთვის გამოიყოფა 200 000 ლარი, რომელსაც კონკრეტული დასახლების მცხოვრებლები ასევე პირდაპირ განკარგავენ.

არცერთი ბავშვი ბაღის გარეშე!

მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ, დღეს ქალაქ ბათუმში მწვავე პრობლემას წარმოადგენს საბავშვო ბაღებში ადგილების სიმცირე.

2021 წლის მონაცემებით 1600-ზე მეტი ბავშვი ვერ ახერხებს ბაღში წასვლას და მოლოდინის რეჟიმშია ადგილების არქონის გამო.

ბათუმში 33 მოქმედი ბაღია, ამ ბაღებში აღსაზრდელების საერთო ლიმიტი კი – 8105. საჭიროა დამატებით, მინიმუმ 6 ბაღის მშენებლობა.

განვახორციელებთ ვაუჩერიზაციის მასშტაბურ რეფორმას, რითიც მოხდება მუნიციპალური ბაღების განტვირთვა, ასევე მოცემული სიტუაციის ანალიზის შემდგომ გამოქვეყნდება ახალი ბაღების მშენებლობის დეტალური გეგმა-გრაფიკი.

ადაპტირებული გარემოს შექმნა შშმ პირებისთვის

მუნიციპალიტეტის მერთან შეიქმნება სპეციალური საბჭო, რომელიც ყველა მუნიციპალურ პროექტს ჩაუტარებს რევიზიას ადაპტირებასთან დაკავშირებით, მხოლოდ საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემდეგ მოხდება მისი წარდგენა საკრებულოსთვის.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩაბარება მოხდება საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემდეგ.

გამოიყოფა თანხები მუნიციპალური ინსფრასტრუქტურის ადაპტირებისთვის, დამატებით მოხდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის დაფინანსების გაზრდა საცხოვრებელი კორპუსების ადაპტირების მიმართულებით.

სამშენებლო ნებართვების გაცემისა და დასრულებული მშენებლობების ჩაბარების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ადაპტირების საკითხს, ამასთან მხოლოდ ფორმალური ადაპტირება არ იქნება საკმარისი და აქცენტი გაკეთდება სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

ბათუმი ავარიული სახლების გარეშე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს 70-მდე ავარიული საცხოვრებელი სახლი, რომელში ცხოვრებაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის წარმოადგენს საფრთხეს და რაც დადასტურებულია ექსპერტული დასკვნებით.

ჩვენი გუნდის მიზანია აღნიშნული პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა და საკითხის მოგვარება უმოკლეს ვადებში, კერძოდ, უნდა მომზადდეს საინვესიტიციო წინადადებები, საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალური თანამონაწილეობით.

მუნიციპალური სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი

ჩვენი გუნდის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა და მოზარდ-ახალგაზრდებში დაავადებათა პრევენცია, რითიც პერსპექტივაში უნდა შემცირდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ამბოლატორიულ პროგრამებზე მოთხოვნა.

სამწუხაროდ დღეს ბათუმში არ არსებობს სპეციალიზირებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, რომლებიც შეძლებენ დიდი რაოდენობით მომხმარებლის მიღებას, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს საცურაო აუზები მასობრივი მოხმარებისთვის. განსაკუთრებულ პრობლემურ წარმოადგენს მთელი რიგი დავაადებები, მათ შორის მოზარდებში ფართოდ გავრცელებული სქოლიოზი, რომლისთვისაც აუცილებელია ცურვა და სამედიცინო მასაჟები თუ სპეციალური ვარჯიშები.

დაავადებათა პრევენციის, წყლის სპორტის სახეობების განვითარებისა და შესაბამის სეზონზე ტურისტებისათვის დამატებითი ცენტრის არსებობისთვის აუცილებელია მუნიციპალური სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის არსებობა, რომელსაც ჩვენი გუნდი აუცილებლად აუშენებს ბათუმელებსა და ჩვენი ვიზიტორებს.

ძაღლების პარკი

ძაღლის მეპატრონეებისთვის მწვავე პრობლემას წარმოადგენს სპეციალურად შინაური ცხოველებისთვის (ძაღლებისთვის) განკუთვნილი რეაკრაციული სივრცის არსებობა, სადაც განლაგებული იქნებოდა სპეციალური სავარჯიშოები და სასეირნო სირვცე.

აღნიშნული სივრცის არსებობა გამორიცხავს საერთო მოხმარების რეკრეაციული სირვცეების ვიზიტორებისათვის დისკომფორტს და საშუალებას აძლევს ქალაქს, ასეთი სივრცეები იყოს უსაფრთხო და კომფორტული.

მრავალსართულიანი პარკირებები

უსისტემო ურბანული განვითარებისა და მშენებლობების „ბუმის“ ფონზე ქალაქისთვის უმწვავეს პრობლემას წამოადგენს პარკირებების საკითხი, რომელიც დამატებით წარმოქმნის „საცობების“ პრობლემას.

აღნიშნული საკითხის მოგვარების გზად გვესახება მრავალსართულიანი პარკირებების მშენებლობა ქალაქის მასშტაბით, განსაკუთრებით კი ქალაქის ცენტრის ტერიტორიაზე.

ჩვენი მიზანია შესაბამისი ადგილების მოძებნა და სახელმწიფო და კერძო თანამშრომლობის შედეგად პროექტის განხორციელება.

ბათუმის ბიზნეს და საწარმოო ცენტრი

ბათუმის ინდუსტრიულ ზონაში ბიზნეს ცენტრი და საწარმოო ინფრასტრუქტურა შეიქმნება, რომელიც შეასრულებს ერთგავრი ინკუბატორისა და აქსელერატორის როლს. ცენტრის მთავარი დანიშნულება იქნება დამწყები ბიზნეს სუბიექტებისა და მწარმოებლების მხარდაჭერა, მათი რისკების მინიმალიზაცია და ინკუბაციის პერიოდში საოპერაციო ხარჯების შემცირება. მხარდაჭერა მოიაზრებს საწარმოო და/ან საოფისე ფართებით დროებით უსასყიდლოდ უზრუნველყოფას, ასევე ბიზნეს ექსპერტების საკონსულტაციო მომსახურებას.

1 500 000 ლარი სტუდენტებს!

ყველა ბათუმელ სტუდენტს გადაეცემა სპეციალური „სითი ქარდი“, რომლის ყოველწლიური ლიმიტი 150 ლარის ოდენობით განისაზღვრება. სტუდნეტები მოცემული თანხის გამოყენებას შეძლებენ საგანმანათლებლო მიზნებისთვის. როგორიცაა: ტრენინგ-სემინარები, სასწავლო მასალებისა და მათი ასლების შეძენა, ფასიანი ონლაინ პლატფორმებზე წვდომის მიღება და სხვა.

მეტი საერთაშორისო განათლება ბათუმელ ახალგაზრდებს

ყოველწლიურად 30 ბათუმელი ახალგაზრდა საზღვარგარეთ სწავლისთვის მიიღებს ფინანსურ მხარდაჭერას. სტუდენტები დაფინანსდებიან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების TOP 500 სასწავლებელში. სამაგისტრო პროგრამებზე დაფინანსება განისაზღვრება წლიურად 15 000 ლარით, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე 20 000 ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდები სწავლის დასრულების შემდგომ, დაბრუნდებიან საქართველოში და აქტიურად ჩაერთვებიან ქალაქის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ახალი საინვესტიციო პროექტები ბათუმს

შესაბამისი ექსპერტების მიერ მოხდება მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება, კვლევებზე დაფუძნებული, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების მომზადება/შეთავაზება, ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვა და შესაბამისად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა.

ეკონომიკური და ტურისტული მიზიდულობის ახალი ცენტრები

ჩვენი გუნდის მიზანია ე.წ. „შემოერთებული ტერიტორიებზე“, ასევე ბაგრატიონის („ჭაობი), აღმაშენებლის, თამარის, ბონი-გოროდოკის დასახლებებში ეკონომიკური და ტურისტული მიზიდულობის ცენტრების შექმნა. სამშენებლო და ტურისტული ბიზნესისთვის ეს ტერიტორიები უნდა გახდეს მიმზიდველი.

შემუშავდება სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვითაც ამ ტერიტორიებზე განთავსდება ესა თუ ის მუნიციპალური დაწესებულება, ქალაქისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა დაწესებულებები (ბიბლიოთეკა, მუზეუმი და ა.შ.), რაც მოგვცემს საშუალებას განვტვირთოთ ქალაქის ცენტრი და განვავითაროთ გარეუბნები. შემუშავდება კერძო სექტორის წახალისების სხვა მექანიზმები.

მეტი მწვანე სივრცე ბათუმს

ჩვენი გუნდის მიზანია მწვანე სირვცეების რაოდენობის გაზრდა მთელი ქალაქის მასშტაბით. არ დავუშვებთ რეკრეაციული ზონების ხარჯზე მშენებლობებს. საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით გვსურს შევიმუშავოთ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ბათუმელის სახლიდან უახლოეს სრულფასოვან რეკრეაციულ სივრცემდე იქნება 10-15 წუთის მანძილზე.